

# ბუნებრივი გაზის ფასწარმოქმნა საქართველოში და ევროკავშირის ძირითადი მოთხოვნები

---

პოლიტიკის დოკუმენტი

ივანე პირველი

## შინაარსი

<b>შესავალი</b> .....	2
1. ბუნებრივი გაზის ბაზრის მოწყობისა და ფასების სამართლებრივი რეგულირება ევროკავშირის კანონმდებლობის მიხედვით .....	3
2. ბუნებრივი გაზის მიწოდების წყაროები, მოცულობები და ბაზრის სტრუქტურა საქართველოში .....	4
3. ბუნებრივი გაზის ფასწარმოქმნა საქართველოში.....	7
4. საქართველოს გაზის ბაზარზე არსებული ძირითადი პრობლემები და მათი გადაჭრის გზები .....	9
<b>ბიბლიოგრაფია</b> .....	11

## შესავალი

საქართველოსა და ევროკავშირის შორის თანამშრომლობა ენერგეტიკის სექტორში წარმოადგენს მხარეთა შორის პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს. საერთო ღირებულებებზე დაფუძნებული ურთიერთობები წარმოადგენს ერთი მხრივ, ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ხოლო მეორე მხრივ, საქართველოს ევროპულ ოჯახთან ინტეგრაციის შეუქცევადი პროცესის მამოძრავებელ ნაწილს. 2014 წლის ივნისს ხელი მოეწერა „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებას“. ეს ხელშეკრულება, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებასთან (DCFTA) ერთად, საფუძველს უყრის საქართველოს ევროკავშირთან პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტეგრაციას. ასოცირების შეთანხმება მიზნად ისახავს მხარეთა შორის ურთიერთთანამშრომლობის ჩარჩოს შექმნას. იგი მოიცავს ევროკავშირთან დაახლოების მნიშვნელოვან მექანიზმებს და ითვალისწინებს საქართველოსა და ევროკავშირის შორის თანამშრომლობის გაღრმავებას სხვადასხვა მიმართულებით.

სხვადასხვა პრიორიტეტულ მიმართულებასთან ერთად, ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში, მხარეები თანხმდებიან, რომ ითანამშრომლებენ ენერჯის მიწოდების უსაფრთხოების გაძლიერების, ბაზარზე დაშვების გაზრდისა და ევროკავშირის საკანონმდებლო ბაზასთან ეტაპობრივ დაახლოების საკითხებზე. შეთანხმებაში გამოკვეთილია შეუფერხებელი ტრანზიტის, ენერგეტიკული კანონმდებლობის განვითარების, დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს არსებობისა და კონკურენტული ბაზრის როლი. 2016 წლის ოქტომბერს ხელი მოეწერა ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების შესახებ ოქმს, რაც ენერგეტიკის სექტორში ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს.

ევროპული ენერგეტიკული კანონმდებლობის დანერგვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბუნებრივი გაზის სექტორში, რამდენადაც ბუნებრივი გაზი ყველაზე მოთხოვნადი ენერგორესურსია საქართველოში და ის მთლიანი ქვეყნის ენერგომოთხოვნის 40%-ს აკმაყოფილებს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ გაზის სექტორში მიწოდების ფასების ფორმირება არაგამჭვირვალეა, რაც ართულებს მომხმარებელთათვის, განსაკუთრებით კი მსხვილი მომხმარებლებისთვის, სწორი საფასო სიგნალების მიწოდებას და პროგნოზირებას. გარდა ამისა, სექტორი განიცდის მეორადი კანონმდებლობის სიმწირეს, რაც მიზანშეწონილია გამოსწორდეს ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების მიერ ადაპტირებული და რეკომენდირებული რეგულაციებით.

## 1. ბუნებრივი გაზის ბაზრის მოწყობისა და ფასების სამართლებრივი რეგულირება ევროკავშირის კანონმდებლობის მიხედვით

“ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების შესახებ”<sup>1</sup> ოქმის თანახმად, ბუნებრივი გაზის სექტორში საქართველომ უნდა უზრუნველყოს შემდეგი დირექტივების და რეგულაციების ეტაპობრივი დანერგვა: 2009 წლის 13 ივლისის 2009/73/EC დირექტივა ბუნებრივი გაზის შიდა ბაზრისათვის საერთო წესებისა და 2003/55/EC დირექტივის გაუქმების შესახებ, 2009 წლის 13 ივლისის რეგულაცია (EC) N 715/2009 ბუნებრივი გაზის გადამცემ ქსელებზე დაშვების პირობებისა და რეგულაცია (EC) N 1775/2005 გაუქმების შესახებ, დირექტივა N 2004/67/EC ბუნებრივი გაზის მიწოდების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზომების შესახებ, დირექტივა 2008/92/EC საბოლოო მომხმარებლისათვის გაზისა და ელექტროენერჯის ფასების გამჭვირვალობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით „გაერთიანების“ პროცედურის შესახებ და რეგულაცია (EC) No 1099/2008 ენერგოსტატიტიკის შესახებ.

ბუნებრივი გაზის შიდა ბაზრისათვის საერთო წესების (2009/73/EC) დირექტივა მთავარი დოკუმენტია, რომელიც აყალიბებს ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების წევრ ქვეყნებში ბუნებრივი გაზის ბაზრის განვითარების ხედვას. ის მოიცავს ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების, განაწილების, მიწოდებისა და შენახვის საერთო წესებს, ადგენს ბუნებრივი გაზის სექტორის ორგანიზებისა და ფუნქციონირების წესებს, ბაზარზე დაშვების, ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების, განაწილების, მიწოდებისა და შენახვის სისტემების ოპერირებისათვის ავტორიზაციის კრიტერიუმებს. ბუნებრივი გაზის შიდა ბაზარი მიზნად ისახავს ევროკავშირის ყველა მომხმარებლისათვის, იქნება ეს საყოფაცხოვრებო თუ ბიზნეს სექტორი, რეალური შესაძლებლობის მიცემას, ტრანსსასაზღვრო ვაჭრობის გაზრდას, ეფექტიანობის, კონკურენტული ფასებისა და მომსახურების უფრო მაღალი სტანდარტების მიღწევას.

ბუნებრივი გაზის შიდა ბაზრისათვის საერთო წესების დირექტივის თანახმად, ეფექტიანი და სამართლიანი ბაზრის განვითარებისათვის განსაკუთრებული წინაპირობა ქსელური საქმიანობის მიწოდების საქმიანობისაგან გამიჯვნაა. ბუნებრივი გაზის მიწოდების საქმიანობისაგან ტრანსპორტირების საქმიანობის ქონებრივად გამოყოფა, ასევე, განაწილების საქმიანობის, სულ მცირე, სამართლებრივად გამოყოფა მიჩნეულია დარგში კონკურენციის განვითარების წინაპირობად. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საჯარო მომსახურების ვალდებულებას, როგორც სამართლიანი და ხელმისაწვდომი ენერგორესურსების მიწოდების წყაროსა და მოწყვლადი მომხმარებლის დაცვის მექანიზმს.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს გაზის სექტორში არსებული მდგომარეობა შესადარისა 2009/73/EC დირექტივის შესავალი ნაწილის 37-ე პუნქტში აღწერილ სიტუაციასთან: „ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების ტერიტორიაზე ბუნებრივი გაზის იმპორტი ძირითადად ხორციელდება მესამე ქვეყნებიდან, რასაც აქვს მზარდი ხასიათი. გაერთიანების კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს ბუნებრივი გაზის ბაზრის

<sup>1</sup><http://www.energy.gov.ge/projects/pdf/pages/Energetikuli%20Gaertianebis%20Damfudznebel%20Kheleshkrulebastansakartvelos%20Sheertebis%20Shesakheb%20Okmi%201454%20geo.pdf>

სტრუქტურულ წინაღობებს, რაც გამოწვეულია მიმწოდებელთა კონცენტრაციით, გრძელვადიანი კონტრაქტებით ან გასაღების სემინტში (დაუნსტრიმ) ლიკვიდურობის ნაკლებობით. აქედან გამომდინარე, საჭიროა მეტი გამჭვირვალობა, მათ შორის ფასწარმოქმნასთან დაკავშირებით”.

2009/73/EC დირექტივის თანახმად, გამჭვირვალობის კრიტერიუმის დაცვით ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირებისა და განაწილების ტარიფების ასევე მათი მეთოდოლოგიის დადგენის უფლებამოსილება ენიჭება მარეგულირებელ კომისიას. რაც შეეხება ფასების რეგულირებას, კომისიას გააჩნია საბითუმო და საცალო დონეზე ბაზრის გახსნილობის დონისა და ეფექტურობის, მათ შორის ბუნებრივი გაზის ბირჟისა და საყოფაცხოვრებო მომხმარებელთათვის დაწესებული ფასების მონიტორინგის ვალდებულება.

ბუნებრივი გაზის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე, ასევე გათხევადებული ბუნებრივი გაზის და გაზსაცავის სისტემებზე არადისკრიმინაციული დაშვების პირობებს განსაზღვრავს რეგულაცია (EC) N 715/2009 ბუნებრივი გაზის გადამცემ ქსელებზე დაშვების პირობების შესახებ. აღსანიშნავია, რომ რეგულაციაში ყურადღება გამახვილებულია ე.წ. entry and exit ფასწარმოქმნის სისტემის დანერგვის მნიშვნელობაზე, როგორც ლიკვიდურ საბითუმო ბაზრებზე კონკურენციისა და ვაჭრობის ხელშემწყობ ქმედით მექანიზმზე.

“ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების შესახებ” ოქმის თანახმად, სამხრეთ კავკასიის მილსადენი და ჩრდილოეთ-სამხრეთის მაგისტრალური მილსადენი გათავისუფლებულია ევროკომისიის 2009/73/EC დირექტივისა და (EC) No 715/2009 რეგულაციის მოთხოვნების შესრულებისაგან 2026 წლის 31 აგვისტომდე, „ენერგეტიკული გაერთიანების“ ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვამდე. შესაბამისად, შენარჩუნებულია მასპინძელი ქვეყნის ხელშეკრულებით განსაზღვრული ტრანზიტის სარგებლიანი პირობები, რაც დღეს რეგიონში არსებული ბუნებრივი გაზის ფასების გათვალისწინებით მომგებიანია საქართველოსთვის.

## 2. ბუნებრივი გაზის მიწოდების წყაროები, მოცულობები და ბაზრის სტრუქტურა საქართველოში

ბუნებრივი გაზით ვაჭრობა საქართველოში მხოლოდ პირდაპირი კონტრაქტების საშუალებით ხორციელდება. საქართველოს ელექტროენერგეტიკული სექტორისაგან განსხვავებით, არ არსებობს ბუნებრივი გაზის საბალანსო ბაზარი. სისტემის კომერციული დაბალანსება პრაქტიკულად სოკარის შვილობილი კომპანიების მეშვეობით ხორციელდება, რაც აძლიერებს მათ მონოპოლიურ ზეგავლენას ბაზარზე. თუმცა აღსანიშნავია, რომ საქართველოში ბუნებრივი გაზის მიწოდების რამდენიმე წყარო და

ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი გაზის შესყიდვის კონტრაქტი არსებობს. როგორც ცხრილში 1 არის მითითებული, ბუნებრივი გაზი თითქმის მთლიანად იმპორტირებულია.

საქართველოში გაზის მიღების წყარო		2015 მილიონი კუბ.მ	2016 მილიონი კუბ.მ
რუსეთის ფედერაცია	იმპორტი	30	66
	ტრანზიტის საფასურად მიღებული გაზი	265	56 <sup>2</sup>
სამხრეთ კავკასიური მილსადენი	დამატებითი გაზი	501	500
	ოფციური გაზი	220	292
იმპორტი აზერბაიჯანიდან		1359	1321
იმპორტი სომხეთიდან		127	19
ადგილობრივი მოპოვება		11	6
სულ		2513	2260

ცხრილი 1. ბუნებრივი გაზის მიღების წყაროები საქართველოში, 2015, 2016 წწ.

წყარო: საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2015 და 2016 წლების ანგარიშები.

იმპორტის ძირითადი მოცულობა, დაახლოებით 90% აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან შემოდის ხოლო დანარჩენი - რუსეთის ფედერაციიდან. ადგილობრივი წარმოება და რუსული გაზის იმპორტი სომხეთიდან შედარებით უმნიშვნელოა.

საქართველოს გააჩნია საბაზროსთან შედარებით იაფი ბუნებრივი გაზის მიღების ოთხი წყარო<sup>3</sup>. უკანასკნელი წლების განმავლობაში რუსეთიდან სომხეთში გამავალი გაზის 10% ტრანზიტის მომსახურების სანაცვლოდ რჩებოდა შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიას“. თუმცა მომავალი წლიდან ეს მომსახურება მთლიანად ფულად ანაზღაურებაზე გადავა, რაც შეამცირებს ქვეყანაში იაფი ბუნებრივი გაზის მოცულობას. შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიასა“ და რუსულ „გაზექსპორტს“ შორის 2017 წლიდან მოქმედებს ახალი ორწლიანი შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს გარდამავალ ერთწლიან პერიოდში სატრანზიტო მომსახურების ნაწილობრივ ისევ ნატურით (ბუნებრივი გაზით) ანაზღაურებას, დანარჩენ ტრანზიტულ მოცულობაზე კი ფულადი გადასახადია დაწესებული. 2018 წლიდან სატრანზიტო მომსახურება მთლიანად ფულადი გადასახადით ანაზღაურდება<sup>4</sup>.


სამხრეთ კავკასიური მილსადენის, რომელიც ემსახურება აზერბაიჯანიდან საქართველოს გავლით თურქეთში შაჰ-დენიზის საბადოდან მოპოვებული გაზის ექსპორტს, პროექტის ფარგლებში საქართველოს გააჩნია ბუნებრივი გაზის შესყიდვის ორი

<sup>2</sup> რუსეთიდან ტრანზიტის მომსახურების სანაცვლოდ მიღებული გაზი მკვეთრად შემცირდა 2016 წელს, რათა დაკომპენსირებულიყო წინა წლებში ტრანზიტის ხელშეკრულებით გათვალისწინებულზე მეტი ბუნებრივი გაზის მოხმარება.

<sup>3</sup> <http://droni.ge/?m=2&AID=8759>

<sup>4</sup> <http://energy.gov.ge/projects/pdf/pages/Sakartvelos%20Energetikis%20Ganvitarebis%20Strategia%202017%2026%20Bunebrivi%20Gazis%20Natsili%201637%20geo.pdf>

დამოუკიდებელი კონტრაქტი. სამხრეთ კავკასიური მილსადენის პროექტის მონაწილეებსა და საქართველოს მთავრობას შორის გაფორმებული ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის ხელშეკრულებისა და ოფციური გაზის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების შესაბამისად, საქართველოს უფლება აქვს შეისყიდოს სამხრეთ კავკასიური მილსადენის საშუალებით ტრანზიტით გატარებულ ბუნებრივი გაზის 5%-მდე მოცულობის გაზი. კონტრაქტის მოქმედების ვადა 2068 წლამდეა განსაზღვრული. მეორე კონტრაქტი კი ადგენს დამატებით მოსაწოდებელი ბუნებრივი გაზის მოცულობასა და ფასებს რომლის მოქმედების ვადა 2026 წლამდეა განსაზღვრული და ყოველწლიურად 500 მლნ მ<sup>3</sup> გაზის იმპორტს ითვალისწინებს. ცხრილში 1 მოცემულია 2015 და 2016 წლებში საქართველოში მოწოდებული „ოფციური“ და „დამატებითი“ გაზის მოცულობები. „ოფციური“ და „დამატებითი“ გაზის მყიდველად საქართველოს მთავრობის მიერ ნომინირებულია სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“, რომელიც, ამავდროულად, ქვეყნის მაგისტრალური გაზსადენების სისტემის მესაკუთრეა. შპს-დენიზის საბადოს მეორე ფაზის დასრულების შემდეგ და სამხრეთ კავკასიური მილსადენის გაფართოების პროექტის ფარგლებში, დაახლოებით 2020 წლის შემდეგ, მოსალოდნელია ოფციური გაზის მოცულობის დაახლოებით სამჯერ გაზრდა.



ნახაზი 1. ბუნებრივი გაზის ბაზრის სტრუქტურა

ბუნებრივი გაზის არსებული სტრუქტურა და ძირითადი კომერციული და ფიზიკური ნაკადები მოცემულია ნახაზზე 1. ფასწარმოქმნის თვალსაზრისით, ბუნებრივი გაზის ბაზარი, საბითუმო დონიდან მომხმარებლამდე, ორ ერთმანეთისაგან განსხვავებულ სეგმენტს მოიცავს. მოსახლეობა და თბოელექტროსადგურები, სხვა მომხმარებლებისაგან განსხვავებით, შედარებით იაფ გაზს მოიხმარენ. შესაბამისად, მომხმარებელთა ეს ორი ჯგუფი ე. წ. სოციალურ სეგმენტს წარმოადგენს. რაც შეეხება დანარჩენ მომხმარებლებს, ისინი პირდაპირი კონტრაქტების გზით სხვადასხვა კომერციულ ფასად შეიძენენ ბუნებრივ გაზს და წარმოადგენენ არასაყოფაცხოვრებო სეგმენტს. ბაზარზე დომინირებული პოზიცია უჭირავთ სოკარის შვილობილ კომპანიებს, რომლებიც მონაწილეობენ როგორც საბითუმო, ისე საცალო ბაზარზე და იმპორტირებული გაზით ამარაგებენ როგორც მიმწოდებლებს, ისე საბოლოო მომხმარებლებს.

საქართველოში გაზის სექტორში სახელმწიფო პოლიტიკა მიმართულია, იმისკენ, რომ სახელმწიფოს მიერ შესყიდული იაფი გაზი ხელმისაწვდომი იყოს მოსახლეობისათვის და თბოელექტროსადგურისთვის. თუმცა, საყოფაცხოვრებო სექტორისა და თბოელექტროსადგურების ჯამური წლიური მოთხოვნა აღემატება ტრანზიტის საფასურად მიღებული ოფციური, დამატებითი და რუსული გაზის ჯამურ მოცულობას. მაგალითისათვის, ამ ორ მაჩვენებლს შორის სხვაობამ<sup>5</sup> 2016 წელს შეადგინა 463 მლნ მ<sup>3</sup>, ხოლო 2015 წელს 357 მლნ მ<sup>3</sup>. ამ წლიური მოცულობის სხვაობის შევსების მიზნით, საქართველოს მთავრობასა და კომპანია სოკარ გაზ ექსპორტ-იმპორტს შორის გაფორმებულია მემორანდუმი ბუნებრივი გაზით მომარაგების თაობაზე 2030 წლამდე.

### 3. ბუნებრივი გაზის ფასწარმოქმნა საქართველოში

საქართველოში ბუნებრივი გაზის ფასი დამოკიდებულია რამდენიმე ურთიერთდაკავშირებულ ფაქტორზე. ბუნებრივი გაზის საბოლოო საცალო ფასს სხვა ირიბ ფაქტორებთან ერთად (მაგ. ვალუტის კურსის ცვლილება), განსაზღვრავს ქვეყანაში მოწოდების წყაროების მოცულობები და სტრუქტურა, ასევე ის, თუ რომელ კატეგორიას განეკუთვნება საცალო მომხმარებელი. მომხმარებელთა კატეგორიები იყოფა მოხმარების მიზნობრიობიდან გამომდინარე (საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო) და იმის მიხედვით, თუ რომელი სატრანსპორტო (გამანაწილებელი თუ ტრანსპორტირების) სისტემის მომხმარებელია.

ფიზიკურად სისტემიდან ბუნებრივი გაზის მიღების ორი საშუალება არსებობს. პირველ შემთხვევაში მომხმარებელი მიერთებულია ტრანსპორტირების სისტემასთან და კანონმდებლობით პირდაპირ მომხმარებლად ითვლება. სხვა შემთხვევაში, მომხმარებელი მიერთებულია დაბალი, საშუალო ან მაღალი წნევის გამანაწილებელ ქსელთან და მიეკუთვნება საცალო მომხმარებლების კატეგორიას. როგორც წესი, პირდაპირი მომხმარებელი ბუნებრივ გაზს დიდი რაოდენობით უნდა მოიხმარდეს და განაწილების

<sup>5</sup> [http://gnerc.org/files/wliuri%20angariSi/ANNUAL%20REPORT%202016\\_opt.pdf](http://gnerc.org/files/wliuri%20angariSi/ANNUAL%20REPORT%202016_opt.pdf)



ლიცენზიანტს არ უნდა შეეძლოს მისი ქსელზე მიერთება. თუმცა დღეს არსებული წესებით, არ არის მკაფიოდ განსაზღვრული, რა მინიმალური კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს პირდაპირი მომხმარებლის სტატუსის მამიებელმა. შესაბამისად, მოქმედი სატარიფო სისტემის პირობებში, როდესაც პირდაპირი მომხმარებელი ქსელური მომსახურების მხოლოდ ტრანსპორტირების ტარიფს იხდის და საშუალება აქვს თავი აარიდოს განაწილების ტარიფს, დიდია როგორც ახალი მომხმარებლების, ისე არსებული და განაწილების ქსელზე მიერთებული მომხმარებლების მოტივაცია, მიუერთდნენ ტრანსპორტირების სისტემას.

რეგულირების თვალსაზრისით გამოიყოფა მომხმარებელთა ორი კატეგორია, რომელთაგან რეგულირებად ნაწილს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ (სემეკი) უდგინდება საცალო სამომხმარებლო ფასები, ხოლო დერეგულირებული კატეგორიისთვის ასეთი ფასი არ დგინდება და ის დამოკიდებულია მიწოდებლის მიერ საჯაროდ შეთავაზებულ ფასზე. კერძოდ, „ბუნებრივი გაზის მიწოდების საქმიანობის დერეგულირებისა და ნაწილობრივი დერეგულირების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 25 სექტემბრის №69 ბრძანებით, განხორციელდა მიწოდების საქმიანობის დერეგულირება, რომლის თანახმადაც, მიწოდების ტარიფი (შესაბამისად საბოლოო სამომხმარებლო ტარიფი) დერეგულირებულია ყველა მომხმარებლისთვის, გარდა იმ საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისა, რომლებიც ბუნებრივ გაზს მოიხმარდნენ 2007 წლის 1 სექტემბრამდე (თბილისში 2008 წლის 1 აგვისტომდე).

მარეგულირებელი კომისიის მიერ დგინდება ქსელურ მომსახურებასთან დაკავშირებული ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირებისა და განაწილების ტარიფი შესაბამისი კომპანიების მიხედვით. კომისიის მიერ 2014 წელს დამტკიცდა ბუნებრივი გაზის ტარიფების გაანგარიშების ახალი მეთოდოლოგია<sup>6</sup>, რომელიც ეფუძნება „დანახარჯები პლიუს“ პრინციპს. ამ მეთოდიკის მიხედვით, კომისიის მიერ სატარიფო წლისთვის განისაზღვრება რეგულირებადი დანახარჯების ბაზა (RCB), საწარმოსთვის ნებადართული შემოსავალი, რომელიც საჭიროა საწარმოს ეფექტიანი და უსაფრთხო ფუნქციონირებისთვის და მოიცავს გონივრულ ხარჯებსა და სამართლიან მოგებას. კომისიის მიერ ასევე განისაზღვრება რეგულირებადი აქტივების ბაზაზე ამონაგების ნორმა კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების (WACC) პრინციპით. მისი ოდენობა დღესდღეობით შეადგენს 13.54%-ს. რეგულირებადი დანახარჯების ბაზისა და ტრანსპორტირებული, განაწილებული ან მიწოდებული ბუნებრივი გაზის მოცულობის შეფარდება განსაზღვრავს შესაბამისი წლის ტარიფს. რეგულირებადი დანახარჯების ბაზა ძირითადად მოიცავს სატარიფო წლის კაპიტალურ და საოპერაციო დანახარჯებს, ნორმატიული დანაკრგების ღირებულებასა და დანახარჯების ყოველწლიურ კორექტირების მაჩვენებელს.

<sup>6</sup> <http://gnerc.org/files/dadgenilebebi/2014/33%2025%20dec%202014.pdf>

აღსანიშნავია, რომ ახალი სატარიფო მეთოდოლოგიით ბუნებრივი გაზის სექტორში ტრანსპორტირების განაწილების, მიწოდებისა და მოხმარების ტარიფი (რეგულირებადი მომხარებლებისთვის) დადგინდა მხოლოდ 2017 წლის ივლისში.



ნახაზი 2. სამომხმარებლო ტარიფების სტრუქტურა, შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი“, შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“ და სს „საქორგაზი“, ივლისი 2017.

ნახაზზე 2 მოცემულია სამი უმსხვილესი გამანაწილებელი კომპანიის სამომხმარებლო ტარიფის სტრუქტურა. შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“, რომლის სამოქმედო არეალი დედაქალაქის უდიდესი ნაწილია, სამომხმარებლო ტარიფი დაახლოებით 23-24%-ით დაბალია სოკარის შვილობილი კომპანიების ტარიფზე, რომლებიც თითქმის მთლიანდ ფარავენ საქართველოს რეგიონების გაზის გამანაწილებელ ქსელს. როგორც გრაფიკიდან ჩანს, სხვაობა ქსელურ კომპონენტში განაწილების ტარიფშია. სს „საქორგაზის“ და შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ განაწილების ტარიფი თითქმის ორჯერ აღემატება შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ განაწილების ტარიფს რაც ამ ორი კომპანიის ქსელში განხორციელებული ინვესტიციებითა და გაზიფიცირების სამუშაოებით აიხსნება.

#### 4. საქართველოს გაზის ბაზარზე არსებული ძირითადი პრობლემები და მათი გადაჭრის გზები

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ბუნებრივი გაზის მიღების რამდენიმე წყარო არსებობს, ბუნებრივი გაზის ბაზრის სტრუქტურა კონცენტრირებულია და საბაზრო ურთიერთობები ნაკარნახებია საქართველოს მთავრობასა და სოკარის შვილობილ

კომპანიებს შორის მიღწეული შეთანხმებებით. ხშირ შემთხვევაში, აღნიშნული შეთანხმებები კონფიდენციალურია მესამე მხარისთვის, რაც ართულებს სექტორში ფასის პროგნოზირებას და მომხმარებლების (განსაკუთრებით კომერციული) მიერ სწორი გადაწყვეტილების მიღებას. როგორც ზემოთ აღინიშნა, ევროკავშირის კანონმდებლობის თანახმად, ბაზრის მოცულობის შეზღუდულობისა და მიმწოდებელთა კონცენტრაციის მიუხედავად, კონკურენციის ხელშეწყობის პირველ და მთავარ ნაბიჯად სექტორში გამჭვირვალობის გაზრდა მოიაზრება. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია მარეგულირებელი კომისიის მიერ საბითუმო და საცალო ფასების მონიტორინგი და, რაც მთავარია, მონიტორინგის შედეგების საჯაროდ განთავსება კვარტალურ და წლიურ ჭრილში. ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისად უნდა გაიზარდოს და გაძლიერდეს მარეგულირებელი კომისიის შესაძლებლობები ბუნებრივი გაზის ბაზრის ეფექტიანი რეგულირებისათვის, რაც სხვა უფლებამოსილებებთან ერთად მოიცავს კომისიის მიერ ბუნებრივი გაზის ბაზრის წესებისა და ქსელის წესების შემუშავება-განვითარებას.

დღეს, როდესაც საცალო მიმწოდებლები ბუნებრივ გაზს მთლიანად საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის შეიძენენ ე.წ. სოციალური გაზის ფასწარმოქმნის პირობებში, მიზანშეუწონელია საყოფაცხოვრებო მომხმარებლების დერეგულირებულ და რეგულირებულ ნაწილად დაყოფა. მით უფრო, რომ ამგვარი დაყოფა ქსელზე მიერთების პერიოდულობის ნიშნით (2007 წლამდე არსებული მომხმარებლები) არ შეესაბამება საერთაშორისო პრაქტიკას და საფუძველს მოკლებულია. შესაბამისად, რეკომენდებულია გაუქმდეს საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის 2007 წლის 25 სექტემბრის №69 ბრძანება და მთლიანად საყოფაცხოვრებო სექტორისთვის მომხმარებლის ტარიფი დადგინდეს მარეგულირებელი კომისიის მიერ. ამავდროულად, შეზღუდული მოცულობის „სოციალური გაზის“ ეფექტიანი განაწილების მიზნით, რეკომენდებულია ჩატარდეს კვლევა ბუნებრივი გაზის საფეხურებრივი ტარიფის დაწესების შესახებ, მით უფრო, რომ ამგვარი სატარიფო პოლიტიკის პრაქტიკა ელექტროენერჯეტიკის სექტორში წლებია რაც არსებობს.

აუცილებელია ბუნებრივი გაზის რეგიონული საფასო სტრატეგიების განხილვა ქვეყნის რეგიონული ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის ჭრილში. როგორც საყოფაცხოვრებო, ისე კომერციულ სექტორში ბუნებრივი გაზის ფასები და ტარიფები მაღალია რეგიონში ვიდრე დედაქალაქში. როგორც წინა თავში აღინიშნა, ამის ძირითადი მიზეზია რეგიონებში მიმდინარე გაზიფიცირების პროექტები, რომელიც თავის მხრივ აისახება ბუნებრივი გაზის განაწილების ტარიფზე. ცხადია, დასახლებული პუნქტების გაზიფიცირების პროექტი მნიშვნელოვანია, ამით იზრდება მოსახლეობისათვის ალტერნატიული წყაროების ხელმისაწვდომობა, მით უფრო როდესაც ქვეყანაში არალეგალური შეშის მოხმარების მაღალი მაჩვენებლებია. თუმცა, მომავალი გაზიფიცირების პროექტებისთვის მნიშვნელოვანია მათი ეკონომიკური ეფექტიანობის დასაბუთება და ასევე გაზიფიცირების პროექტების ტარიფებზე ზეგავლენის ანალიზის განხორციელება, რათა თავიდან იქნეს აცილებული განაწილების ტარიფის კიდევ უფრო მეტად და გაუმართლებელი ზრდა.

ბუნებრივი გაზის სექტორის შემდგომი განვითარების მიზნით, აუცილებელია ქსელური საქმიანობის გამიჯვნა მიწოდების საქმიანობისაგან ევროკავშირის ენერგეტიკული კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. მიუხედავად იმისა, რომ დღეს მოქმედი კანონმდებლობით ბუნებრივი გაზის მიწოდება და მისი განაწილება ან ტრანსპორტირება განსხვავებული საქმიანობებია, არ არსებობს მათი სამართლებრივი ან ქონებრივი გამიჯვნის ვალდებულება. გამანაწილებელი კომპანიები ამავდროულად ახორციელებენ მიწოდების საქმიანობას თავიანთ არეალში. ბუნებრივი გაზის საბითუმო ბაზრის განვითარებისა და ბუნებრივი გაზით მოვაჭრეების სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე არადისკრიმინაციული დაშვების, ასევე სატარიფო პოლიტიკის გაუმჯობესების მიზნით, მიზანშეწონილია დამოუკიდებელი ტრანსპორტირების სისტემის ოპერატორის ჩამოყალიბება და ე.წ. Entry-exist სისტემის დანერგვა.

კონკურენციის განვითარების პარალელურად, აუცილებელია არსებობდეს შესაბამისი მექანიზმები მომხმარებელთა უწყვეტი გაზომვარაგებისათვის. განსაკუთრებით აუცილებელია საყოფაცხოვრებო მომხმარებლების დაცვა და ამ მიზნით რეკომენდებულია დამოუკიდებელი საჯარო მიმწოდებლის ჩამოყალიბება. საჯარო მიმწოდებლის მოვალეობა უნდა იყოს ტრანზიტის მომსახურების პირობებში შესყიდული შედარებით იაფი გაზის საყოფაცხოვრებო სექტორისათვის მიწოდება. აღნიშნული შედარებით გრძელვადიანი პერსპექტივაა და უნდა ემთხვეოდეს ქვეყანაში გაზსაცავის მშენებლობის დასრულების ეტაპს, რომელიც მეტ მოქნილობას შეძენს ბუნებრივი გაზით ვაჭრობას.

## ბიბლიოგრაფია

1. ენერგეტიკული გაერთიანების სამართლებრივი ჩარჩო, მეოთხე გამოცემა, ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნო, 2017;
2. ინტერვიუ ალექსანდრე ხეთაგურთან: "ტარიფების შემცირებამ, შესაძლოა, ენერგოკრიზისი გამოიწვიოს", 12.11.2012, [www.droni.ge](http://www.droni.ge)
2. "ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების შესახებ" ოქმი, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო;
3. საქართველოს ენერგეტიკის განვითარების სტრატეგია 2017-2026 (ბუნებრივი გაზი), ენერგეტიკის სამინისტრო;
4. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014, 2015 და 2016 წლების წლიური ანგარიშები;
5. საქართველოს ბუნებრივი გაზის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების ათწლიანი გეგმა 2017-2026, საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია, თებერვალი 2016;
6. „How to get more fair gas prices?“, Sund Energy AS, 2015 <https://www.energy-community.org/documents/studies.html>